საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №27

ქ.თბილისი **04.12.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში- თავმჯდომარე);
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ-კავშირ განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
თამარ ზარანდია - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტები:
თამარ შენგელია,
ანა ლელაძე,
ნინო გაგელიძე,
თამარ აფრასიძე.

აკრედიტაციის ექსპერტები:
თეა შაყულაშვილი,
კონსტანტინე თოფურია,
მაია გონაშვილი,
თორნიკე გურული,
ნინო ქიმერიძე,
ნანა ფრუიძე,
ნინო ჯაფიაშვილი,
გოდერძი ბუჩაშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
გიორგი სოსიაშვილი,
გიორგი ხორბალაძე,
ლევან მიდოდაშვილი,
ციური დურული,
დავით ბოსტოღანაშვილი.

შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
დავით ჩერქეზიშვილი,
რუსუდან ჩიქოვანი,
გიზო ჭელიძე,
ავთანდილ გაგნიძე.

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
კახა შენგელია,
ნუგზარ სხირტლაძე,
ვატო სურგულაძე,
ნინო ჟიჟილაშვილი,
მაია გონაშვილი,
პაატა ბუკაშვილი,
რუსუდან სტრელკოვა,
პავლე კაპანაძე,
თეა გიორგაძე.

სხდომა დაიწყო 15:20 სთ-ზე. სხდომის მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის PR (პიარის) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის პროგრამები განხილულიყო რიგით I-V საკითხებად და შპს კავკასიის უნივერსიტეტის საკითხები გადმოტანილი ყოფილიყო დღის წესრიგში VI-VIII საკითხებად.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი და დღის წესრიგი დაამტკიცა შემდეგი სახით:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში" - აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის PR (პიარის) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართალმცოდნეობა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	06
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული იყო მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, პროგრამის უფრო წარმატებულად განხორციელებისათვის სასურველი იქნებოდა მათი რიცხვის გაზრდა;
- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეტი გამჭირვალობისა და მკაფიოობის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ კონკრეტულად განსაზღვრულიყო არჩევითი საგნებით საჭირო კრედიტების მოპოვების წესი;
- მიზანშეწონილი იქნებოდა დამხმარე ლიტერატურაში ასახულიყო თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ უფრო გაეღრმავებინათ ცოდნა კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით და გასცნობოდნენ თანამედროვე მიდგომებსა თუ ტენდენციებს;
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლების მრავალი მეთოდიდან სილაბუსებში მეთოდები ყოფილიყო დაკონკრეტებული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებული ყოფილიყო სწავლების შედეგების მიღწევის უფრო მრავალფეროვანი ფორმები (მაგ: იმიტირებული პროცესი, პრეზენტაცია და სხვა გამოყენებული ყოფილიყო არამარტო პრაქტიკული კურსების შესწავლისას).

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით გააკეთა განმარტებები. აკადემიური პერსონალის გაზრდას რაც შეეხებოდა, ამ პროგრამაზე სრული დატვირთვით სწავლობდა მხოლოდ ორი კურსი, ამიტომ აკადემიური პერსონალიც პროპორციულად გაიზრდებოდა სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად. რაც შეეხებოდა არჩევითი საგნების გაზრდას, საუბარი იყო სამ მოდულზე, რომელთა ფარგლებშიც შეთავაზებული იყო 30-კრედიტიანი არჩევითი საგნები და მითითებული იყო, რომ მოდულის საგნებიდან

მაქსიმუმ 20-კრედის არჩევა შეეძლო სტუდენტს, დარჩენილი 10 კრედიტის საგნებს კი აირჩევდა სპეციალობის

სხვა მოდულიდან. თუმცა, ვინაიდან ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული უფრო დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი, რეკომენდაცია აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული. რაც შეეხებოდა უცხოენოვანი ლიტერატურის დამხმარე ლიტერატურაში ასახვას, აღნიშნული შედიოდა დაწესებულების ინტერესებში, თუკი სტუდენტებს ექნებოდათ მეტი შესაძლებლობა, გასცნობოდნენ დამატებით ლიტერატურას, მაგრამ აღინიშნა, რომ ძირითადი ლიტერატურა იყო ქართულენოვანი, ვინაიდან სწავლების ენა იყო ქართული. აგრეთვე, რაც შეეხებოდა სილაბუსში მეთოდების დეტალიზაციას, მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, გამოყოფილი იყო რამდენიმე ჯგუფი იმ მეთოდებისა, რომელთაც იყენებენ პროფესორები და, რა თქმა უნდა მათ შორის არსებობდა განსხვავება პრაქტიკული და თეორიული საგნების კუთხით, თუმცა, თუკი მეთოდების დეტალიზაცია მეტ სიცხადეს შესძენდა აღნიშნულ რეკომენდაციებს, დაწესებულება ამას აუცილებლად გაითვალისწინებდა. სწავლების შედეგებთან კავშირში მეთოდების დეტალიზაცია სავსებით შესაძლებელი იყო სილაბუსებში და აღნიშნულიც აუცილებლად აისახებოდა მითითებულ პროგრამასა და მის სილაბუსში.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ რამდენად მდგრადი იყო აკადემიური პერსონალი და რა ვადიანი ხელშეკრულებები იყო გაფორმებული მასთან, ვინაიდან ბევრი მათგანი მოღვაწეობდა სხვადასხვა საჯარო სამსახურსა და სასწავლო დაწესებულებებში, ასევე რა ინფორმაციას ფლობდა დაწესებულება მათი სხვა დატვირთვის შესახებ და ხომ არ შეუშლიდა აღნიშნული ხელს მათ ჩართულობას პროგრამაში.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი იყო არჩეული 4 წლით, ხოლო დაწესებულება მაქსიმალურად უწყობდა ხელს მათ იქ ყოფნას, რაც გამოიხატებოდა მათი თავისუფალი დროის გათვალისწინებით სასწავლო ცხრილების შედგენით, სამეცნიერო საქმიანობაში მათი ჩართულობით და ა.შ. აქედან გამომდინარე ამ ეტაპზე საფრთხე აკადემიური პერსონალის გადინებისა არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა მაგდა მაღრაძემ მიმართა წარმომადგენელს, დაეკონკრეტებინა სულ რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა, რამდენი პროფესორ-მასწავლებელი, მოწვეული ასოცირებული და სრული პროფესორი იყო დასაქმებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის ოთხივე კურსზე ირიცხებოდა 247 სტუდენტი, 15-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი იყო არჩეული უშუალოდ ამ მიმართულებით და უფრო მეტი მოწვეული, ჰყავდათ ადგილობრივი აკადემიური პერსონალი როგორც ხარისხის მქონე, ასევე დოქტორანტებიც.

2. **სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სისხლის სამართალი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სისხლის სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0604
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თეა შაყულაშვილმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული იყო მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, პროგრამის უფრო წარმატებულად განხორციელებისათვის სასურველი იქნებოდა მათი რიცხვის გაზრდა;
- მიზანშეწონილი იქნებოდა დამხმარე ლიტერატურაში ასახულიყო თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ უფრო გაეღრმავებინათ ცოდნა კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით და გასცნობოდნენ თანამედროვე მიდგომებსა თუ ტენდენციებს;
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლების მრავალი მეთოდიდან სილაბუსებში მეთოდები ყოფილიყო დაკონკრეტებული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებიდან სილაბუსებში უფრო მეტად ყოფილიყო გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები იყო სამართლის პროგრამების ანალოგიური, თუმცა სამაგისტრო პროგრამებში კარგად ჩანდა, თუ როგორ იყო გაწერილი 120 კრედიტი და ადგილი არ ჰქონდა გამჭირვალობის პრობლემას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროგრამები იყო მილევად რეჟიმში, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულებას სააკრედიტაციოდ შემოტანილი ჰქონდა სამივე პროგრამა, რომელთაც 9 დეკემბერს გასდიოდა ვადა და დაწესებულებამ გადაწყვიტა, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამების აკრედიტაცია მილევად რეჟიმში, მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის, ამ პროგრამაზე ირიცხებოდნენ.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ იყო აღნიშნული პროგრამები მილევად რეჟიმში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება გეგმავდა ერთიანი სამაგისტრო პროგრამის შემოტანას სააკრედიტაციოდ და ამ ერთიანი პროგრამის ფარგლებში

აღარ იქნებოდა აუცილებლობა ვიწრო სპეციალობის სამაგისტრო პროგრამების არსებობისა, ვინაიდან ისინი გათვალისწინებული იყო ერთიან სამაგისტრო პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ცენტრი ასეთ მილევად რეჟიმში მყოფ და რეგულირებად პროგრამებზე განახორციელებდა მონიტორინგს, რაც აუცილებელი იყო აკადემიური პერსონალის დამაგრების თვალსაზრისით. ვინაიდან ყოფილა შემთხვევები, რომ აკრედიტაციის პერიოდში აღნიშნული აკადემიური პერსონალი იყო ადგილზე, ხოლო გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ ისინი სხვა დაწესებულებაში მოღვაწეობდნენ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც პროგრამის შემუშავების პერიოდში ამ პროგრამაზე, ამ პროფილით კურსდამთავრებულთა 70 პროცენტი იყო დასაქმებული. ვინაიდან პირველადი აკრედიტაცია მოუწია ამ პროგრამას 5 წლის წინ იმ წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, გადახალისდა აკადემიური პერსონალი, შეიცვალა მიდგომები და ინფრასტრუქტურა, გაფორმდა ხელშეკრულებები სამართლის კლინიკასთან და სასამართლოებთან, ასევე კვალიფიკაციის ჩარჩოში არსებული და აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილებების მიხედვით მოხდა პროგრამის დახვეწაც არსებულ ახალ სტანდარტებთან მიმართებით.

3. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამოქალაქო სამართალი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კერძო/ბიზნეს სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0603
კრედიტების რაოდენობა:	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული იყო მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, პროგრამის უფრო წარმატებულად განხორციელებისათვის სასურველი იქნებოდა მათი რიცხვის გაზრდა;
- მიზანშეწონილი იქნებოდა დამხმარე ლიტერატურაში ასახულიყო თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ უფრო გაეღრმავებინათ ცოდნა კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით და გასცნობოდნენ თანამედროვე მიდგომებსა თუ ტენდენციებს;
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლების მრავალი მეთოდიდან სილაბუსებში მეთოდები ყოფილიყო დაკონკრეტებული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებიდან სილაბუსებში უფრო მეტად ყოფილიყო გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ყველა სამართლის პროგრამა შემოწმებულ იქნა მის მიერ და რეკომენდაციებიც გახლდათ ფაქტიურად იდენტური. შინაარსობრივად პროგრამა აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს და თუ პროგრამა ისე განხორციელდებოდა როგორც იყო გაწერილი, ნამდვილად კონკურენციას გაუწევდა სხვა სამართლის პროგრამებს.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ ხდებოდა სტუდენტების გამოკითხვა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეგულარულად მიმდინარეობდა სტუდენტებთან ინტერვიუები.

საბჭოს წევრმა, მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტება სთხოვა ექსპერტის მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა სილაბუსში ერთნაირი მეთოდები იყო გაწერილი, აქ იყო ძირითადი მეთოდების ჩამონათვალი, რომლებიც, როგორც წესი, გამოიყენებოდა ყველა საგანთან მიმართებით ან საგანთა სპეციფიკის გარკვეულ ჯგუფში, მაგალითად, პრაქტიკული მუშაობის საგნებთან მიმართებით გამოიყენებოდა მეთოდთა გარკვეული ჯგუფი, მაგრამ აღნიშნულ სილაბუსებში იყო ძირითადი მეთოდების ჩამონათვალი, პროგრამის მიხედვით პროფესორი გახლდათ თავისუფალი და თუ მოხდებოდა დეტალიზაცია, მაშინ საჭირო გახდებოდა თითოეული საგნისათვის ცალკე ინდივიდუალური მეთოდების შემუშავება, რაც არ იყო მიზანშეწონილი, თუმცა შესაძლებელი იყო უფრო დაკონკრეტებულიყო თითოეულ საგანთან მიმართებაში ძირეული მეთოდები.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ სილაბუსი იყო გარე აუდიტორიისათვის შექმნილი და არა შიდა გადაწყვეტილების საგანი, ხოლო როდესაც კონკურენცია მიმდინარეობდა შიგნით, მაშინ იწერებოდა სხვადასხვანირი სილაბუსი და ვინაიდან აქ არ იყო რესურსის პრობლემა, მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი ინდივიდუალურობა. თუ შევხედავდით სტუდენტის თვალით, იქნებოდა რთული აღსაქმელი, როდესაც ყველა კურსში დაფიქსირებული იქნებოდა ანალოგიური მეთოდები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ ამ რეკომენდაციას, თუმცა არსებობდა მეთოდები, რომელთაც ვერ გაექცეოდნენ რამდენიმე საგანში.

4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართალი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თეა შაყულაშვილმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული იყო მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, პროგრამის უფრო წარმატებულად განხორციელებისათვის სასურველი იქნებოდა მათი რიცხვის გაზრდა;
- მიზანშეწონილი იქნებოდა დამხმარე ლიტერატურაში ასახულიყო თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ უფრო გაეღრმავებინათ ცოდნა კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით და გასცნობოდნენ თანამედროვე მიდგომებსა თუ ტენდენციებს;
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლების მრავალი მეთოდიდან სილაბუსებში მეთოდები ყოფილიყო დაკონკრეტებული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებიდან სილაბუსებში უფრო მეტად ყოფილიყო გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, როგორც ზემოაღნიშნულ პროგრამებთან მიმართებით, ამ პროგრამის კუთხითაც გაითვალისწინებდნენ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს.

5. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1109
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თეა შაყულაშვილმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამის მეტი გამჭირვალობისა და მკაფიოობის მიზნით, მიზანშეწონილი იყო დაკონკრეტებულიყო, რომ სტუდენტი A,B,C მოდულებით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან თავისი შეხედულების მიხედვით ირჩევდა საგნებს ისე, რომ მათ მთლიანობაში შეედგინა 20 კრედიტი;
- მიზანშეწონილი იქნებოდა დამხმარე ლიტერატურაში ასახულიყო თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რათა სტუდენტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა უფრო გაეღრმავებინათ ცოდნა კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით და გასცნობოდნენ აქტუალურ მიღწევებს, თანამედროვე მიდგომებსა და ტენდენციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ დამხმარე ლიტერატურაში უცხოენოვანი ლიტერატურის ჩართვას, ხოლო, რაც შეეხებოდა პირველ რეკომენდაციას, სამი მოდული, რომლებზეც აგებული იყო თავად საჯარო მმართველობის პროგრამა, სტუდენტებს არჩევითი საგნისათვის რჩებოდათ 20 კრედიტი სპეციალობის მიხედვით ანუ თითოეულ მოდულში გათვალისწინებული იყო 20 კრედიტის არჩევითი საგანი და ნებისმიერი აღნიშნული სამი მოდულიდან შეიძლებოდა 20 კრედიტის არჩევა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ მოცემულ რეკომენდაციას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა ფაკულტეტზე.

წარმომადგენელმა მიუგო, რომ ამ ეტაპზე საჯარო მმართველობის პროგრამაზე ირიცხებოდა 60 სტუდენტი.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, როგორ ხდებოდა სახელმძღვანელოების განახლება და თუ არსებობდა ამის სტრატეგია, პროგრამებში ახალი ლიტერატურის შეტანის თვალსაზრისით რა პროცედურა იყო გათვალისწინებული.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ გორის უნივერსიტეტი ფლობდა საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ბიბლიოთეკას. დაწესებულების ბიუჯეტში ყოველთვის იყო გათვალისწინებული თანხები, რომლებიც მიმართული იყო ლიტერატურის შესაძენად, აგრეთვე პროფესორებთან კონსულტაციების შედეგად მოძიებულ იქნა სიახლეები და

კონკრეტულ პროფესორებს დავალებული ჰქონდათ წარმოედგინათ სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ნუსხა, მათ შორის უცხოენოვანის და შემდეგ მოხდებოდა ზრუნვა მითითებული ლიტერატურის შესაძენად და მათი ასახვა სილაბუსებში.

საბჭოს წევრი მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო უცხო ენად მითითებული რუსული ენა, ვინაიდან დაწესებულება ამზადებდა საჯარო მოხელეებს და აღნიშნულ რეგიონში დასაქმების კუთხითაც მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ სტუდენტი დაეუფლებოდა რუსულ ენას.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ სტუდენტს რუსული ენის, ასევე როგორც გერმანულის, შესწავლა შეეძლო არჩევითი საგნის ფარგლებში.

6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ეკონომიკის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0701
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა კონსტანტინე თოფურიამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა ეკონომიკის მიმართულებით ზოგიერთი მაპროფილებელი სავალდებულო სასწავლო კურსების მრავალფეროვნების გამდიდრება და კრედიტების ოდენობის გაზრდა. კერძოდ, სასურველი იქნებოდა „მიკროეკონომიკის ინტენსიური კურსი“ და „საერთაშორისო ეკონომიკა“ ისწავლებოდეს 10 კრედიტის ოდენობით (ისევე, როგორც „მაკროეკონომიკის ინტენსიური კურსი“, რომელიც ორ ნაწილად მიეწოდებოდა, ჯამში 10 კრედიტის მოცულობით). ასევე, სასურველი იქნებოდა, ზოგიერთი სასწავლო კურსი არჩევითი საგნებიდან გადასულიყო სავალდებულო საგნების ბლოკში (მაგ. ეკონომეტრიკა, ეკონომიკური დოქტრინები);
- მიზანშეწონილი იქნებოდა, ცალკეულ სილაბუსებში დაზუსტებულიყო საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობები; ნათლად უნდა განსაზღვრულიყო საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი, რომელიც პროგრამის აღწერილობაში წარმოდგენილი იყო არჩევითი კომპონენტის სახით, ხოლო სასწავლო გეგმაში-სავალდებულო კომპონენტის სახით; სასურველი იქნებოდა დაზუსტებულიყო სწავლების მესამე სემესტრში შეთავაზებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, რომელიც წარმოდგენილი იყო 25 კრედიტის ოდენობით, ხოლო სასწავლო გეგმაში მითითებულიყო, რომ სწავლების თითოეულ სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსები 30 კრედიტის მოცულობით; სასურველი იქნებოდა პროგრამის აღწერილობაში კონკრეტულად მითითებულიყო ის

ინდივიდუალური სასწავლო კურსები, რომელთა შეთავაზება დაგეგმილი იყო ინგლისურ ენაზე;

- მიზანშეწონილი იქნებოდა, სწავლის შედეგები ცალკეულ სილაბუსში ერთმანეთისაგან გამოყოფილი და განცალკევებული სახით ყოფილიყო წარმოდგენილი;
- მიზანშეწონილი იქნებოდა, სილაბუსებიდან ამოვარდნილიყო დებულების ჩანაწერი - „სტუდენტი აუცილებლად უნდა დაესწროს ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. დაუშვებელია ლექციის გაცდენა არასაპატიო მიზეზით. ლექციების გაცდენა აისახება საბოლოო შეფასებაზე", რადგან ეს იყო ამონაწერი ძველი დებულებიდან, რომლითაც დაწესებულება აღარ ხელმძღვანელობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა არ წარმოადგენდა ანალოგს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული ეკონომიკის პროგრამებისა. პროგრამა შემუშავებული იყო მსოფლიოში აპრობირებული მეთოდების საფუძველზე და იგი ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტის რეკომენდაციას, რომ მიკროეკონომიკის გაძლიერებული დონე წარმოდგენილი ყოფილიყო ორ სემესტრად, ვინაიდან ისწავლებოდა მაკროეკონომიკის გაძლიერებული კურსი. ვინაიდან დაწესებულება გაძლიერებული კურსით ასწავლიდა მაკროეკონომიკას, არ იყო ერთნაირი კრედიტით წარმოდგენილი მიკრო და მაკრო ეკონომიკის კურსები. ექსპერტი ასევე ვერ დაეთანხმებოდა არჩევითი საგნების სავალდებულოში გადატანას, ვინაიდან არჩევითი საგანი არ ნიშნავდა იმას, რომ სტუდენტი არ ირჩევდა და არ დადიოდა ამა თუ იმ საგანზე, სტუდენტს ეძლეოდა თავისუფალი არჩევანის საშუალება რომელ სემესტრში რომელი საგნის არჩევა სურდა. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი ცოტა მოუხერხებელი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტებში, სადაც სტუდენტს მხოლოდ ორ საგანს სთავაზობდნენ და იმ ორიდან ხდებოდა არჩევა. წარმომადგენლის განცხადებით, მათ დაწესებულებას ჰქონდა რესურსი ყოველ სემესტრში შეეთავაზებინა სტუდენტისათვის საგნები და სტუდენტები შემდეგ ქმნიდნენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. რაც შეეხებოდა ინგლისურად შესასწავლი საგნების მითითებას, დაწესებულებას გააჩნდა ფუფუნება ნებისმიერი საგანი ყოფილიყო სტუდენტისათვის შეთავაზებული ინგლისურად, კერძოდ, დაწესებულებას ჰქონდა ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობით სტუდენტი ხედავდა, რომელ სემესტრში რა საგნის გავლა შეეძლო ინგლისურად. რაც შეეხებოდა კომპეტენციას, კერძოდ სილაბუსში არ იყო მითითებული შეფასების სისტემის დასათაურებები, ეს რეკომენდაცია იყო მისაღები და სილაბუსის ავტორი აუცილებლად გაითვალისწინებდა მას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ისწავლებოდა თუ არა ყველა საგანი ერთ სემესტრში.

წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მათ ჰქონდათ საგნების შეთავაზების საშუალება წინაპირობების გათვალისწინებით. წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ დაწესებულებაში არსებობდა არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა, სადაც ასევე ისწავლებოდა საბუნებისმეტყველო საგნები, სტუდენტს ჰქონდა მეორე სპეციალობის მიღების საშუალებაც. ყველა სტუდენტის მოქმედება ხდებოდა ელექტრონულ რეჟიმში.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ ჰქონდა დაწესებულებას საკონსულტაციო საათები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკონსულტაციო საათები იყო ცალკე და არ შედიოდა ძირითად საათებში, თუმცა სილაბუსით გათვალისწინებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე ერთი წლის განმავლობაში.

წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სამი წლის მიღების ჯამს წარმოადგენდა 36 სტუდენტი.

7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა-საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა-საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა კონსტანტინე თოფურიამ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაცია გააცნო:

- მიზანშეწონილი იქნებოდა სილაბუსებიდან ამოვარდნილიყო დებულების ჩანაწერი - „სტუდენტი აუცილებლად უნდა დაესწროს ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. დაუშვებელია ლექციის გაცდენა არასაპატიო მიზეზით. ლექციების გაცდენა აისახება საბოლოო შეფასებაზე", რადგან ეს იყო ამონაწერი ძველი დებულებიდან, რომლითაც დაწესებულება აღარ ხელმძღვანელობდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ უნდა ყოფილიყო ამოღებული აღნიშნული პუნქტი და ცუდი იყო თუ არა ასეთი ჩანაწერის არსებობა, ვინაიდან მთელ მსოფლიოში სტუდენტი ვერ აცდენდა ლექციას საპატიო მიზეზის გარეშე.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას მიღებული ჰქონდა რეგულაციები ამ კუთხით, ოღონდ არა ასეთი ფორმატით.

8. შპს კავკასიის უნივერსიტეტის PR (პიარის) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	PR (პიარის) საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართულ-ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	240
კრედიტების რაოდენობა	07

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თორნიკე გურულმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- ლიტერატურა, რომელიც გამოიყენებოდა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი არ იყო. არსებობდა მხოლოდ წინარე ხელშეკრულება, გაფორმებული ინდმეწარმე „თამარ ხახუტაშვილსა“ და შპს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტ კახა შენგელიას შორის, რომლითაც ი/მ „თამარ ხახუტაშვილი“ „იღებს ვალდებულებას, ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმოს გამყიდველთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი წინარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში, შესაძლებლობისდა მიხედვით, მოიძიებს დანართ #1-ში მითითებულ ლიტერატურას.“ ლიტერატურის საერთო რაოდენობა იყო 66 წიგნი, რომელთა უმრავლესობაც ძირითად ლიტერატურად მოიაზრებოდა სილაბუსებში. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განხორციელებისათვის;
- სასურველი იყო, სასწავლო პროგრამას დამატებოდა ცალკე საგანი „პიარის სტრატეგია და ტაქტიკა“. ამ საგნის აუცილებლობაზე ინტერვიუების დროს აკადემიურმა პერსონალმა და დამსაქმებლებმა ერთობლივად გამოთქვეს ინტერესი. აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის მხოლოდ მცირე დეტალი იყო გაბნეული სხვადასხვა სილაბუსში;
- სასურველი იყო, საგანს - მედიამონიტორინგი (ლაბორატორიული) დამატებოდა საქართველოს ბაზარზე არსებული მედიამონიტორინგის პროგრამების მუშაობის შესწავლაც, რადგანაც პრაქტიკულ პიარში ამ პროგრამების გამოყენება უფრო ხდებოდა, ვიდრე ჟურნალისტური კუთხით მედიამონიტორინგის განხორციელება. ასევე, დამატებოდა მედია განთავსების კომპონენტი, რათა სტუდენტებს ესწავლათ არა მარტო მედიამონიტორინგის თვისობრივი კომპონენტი, არამედ შესაძლებლობა ჰქონოდათ რაოდენობრივი კომპონენტის გამოყენება მედიამონიტორინგის დროს;
- პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა „საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში უნივერსალურ კომპეტენციას ფლობდეს“. ეს კომპეტენცია ორ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავდა. ესენი იყო: კრიზისული სიტუაციების მართვა და კამპანიების დაგეგმარება. ამ ორ მიმართულებას მწირად ვხვდებოდით სხვადასხვა სილაბუსში ცალკეულ ლექციაში. სასურველი იყო, თუ პროგრამაში ჩაემატებოდა „ანტიკრიზისული პიარი“ და „პიარ კამპანიების დაგეგმვა/განხორციელება/მონიტორინგი“;
- მნიშვნელოვანი იყო, რომ არ მომხდარიყო პროგრამის სისტემატური ცვლილებები. ვიზიტის პერიოდში პროგრამის ცალკეული კომპონენტები რამდენჯერმე შეიცვალა. შეიცვალა რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელსაც რამდენიმე პედაგოგი იყენებდა და რუსული ენა დაშვების წინაპირობად მოთხოვნილი არ იყო, შეიცვალა ცალკეული სასწავლო კურსების ანოტაციები, განახლდა ლიტერატურის სია;
- მიზანშეწონილი იყო, სილაბუსებიდან ამოვარდნილიყო დებულების ჩანაწერი - „სტუდენტი აუცილებლად უნდა დაესწროს ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. დაუშვებელია ლექციის გაცდენა არასაპატიო მიზეზით. ლექციების გაცდენა აისახება საბოლოო შეფასებაზე“, რადგან ეს იყო ამონაწერი ძველი დებულებიდან, რომლითაც დაწესებულება აღარ ხელმძღვანელობდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ისწავლებოდა თუ არა ყველა საგანი ერთ სემესტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დრო ნახა გაფორმებული წინარე ხელშეკრულება ლიტერატურის შეძენის თაობაზე, რომელიც ამ მომენტისათვის უკვე იყო შეძენილი და დასტურდებოდა შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას პიარის სტრატეგიის და ტაქტიკის შესახებ, წარმომადგენელი მიიჩნევდა, რომ სტრატეგია გახლდათ ხედვა, გეგმა ან მისი განხორციელების ხერხები, და თუ კარგად მოხდებოდა პროგრამის შესწავლა, თვალნათლივ გამოჩნდებოდა, რომ სტრატეგიული აზროვნების უნარი სტუდენტს უყალიბდებოდა პროგრამაში მითითებული სხვადასხვა საგნის შესწავლისას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანი მედია მონიტორინგი გახლდათ არჩევითი და ეს არ იყო სავალდებულო საგანი და მიზნად ისახავდა სტუდენტისათვის ეტაპობრივად გაეცნო ქართული და მსოფლიო მედიის საშუალებები და მათი მუშაობის სტრატეგიები და ა.შ. აგრეთვე ანტიკრიზისული პიარიც გახლდათ არჩევითი საგანი, თუმცა დარგობრივი პიარის სამივე ნაწილი ფართოდ მოიცავდა მის ელემენტებს.

რაც შეეხებოდა პროგრამის შენიშვნას პროგრამის სისტემურ ცვლილებასთან დაკავშირებით, იგი ხელმძღვანელობის ინტერესებშიც შედიოდა და დაწესებულება იტოვებდა პროგრამაში ცვლილების შეტანის უფლებას და მის დახვეწას პროგრამის განხორციელებისა და დარგის განვითარების პრაქტიკიდან გამომდინარე. საბოლოო ჯამში პროგრამის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად შეეცდებოდა, გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები და შეეტანა ცვლილებები სილაბუსებში მათი შემდგომი დახვეწის მიზნით.

16:50 საათზე საბჭოზე გამოცხადდა შესვენება.სხდომა განახლდა 17:13 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია, ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა მონიტორინგის პროცედურის განხორციელებით, მოეხდინა აღნიშნული პროგრამის პირობების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების ნაწილში პროგრამის მდგრადობის კუთხით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2016-2017სასწავლო წლის დაწყებამდე, ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა მონიტორინგის პროცედურის განხორციელებით, მოეხდინა აღნიშნული პროგრამის პირობების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება,

განსაკუთრებით ადამიანური რესურსების ნაწილში პროგრამის მდგრადობის კუთხით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2016-2017სასწავლო წლის დაწყებამდე, ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა მონიტორინგის პროცედურის განხორციელებით, მოეხდინა აღნიშნული პროგრამის პირობების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების ნაწილში პროგრამის მდგრადობის კუთხით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია, ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა მონიტორინგის პროცედურის განხორციელებით, მოეხდინა აღნიშნული პროგრამის პირობების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების ნაწილში პროგრამის მდგრადობის კუთხით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპსკავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა-საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის PR (პიარის) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0).

9.სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	10
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა: ნანა ფრუიძემ და თინათინ კუბლაშვილმა. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირება; კერძოდ, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში ან არ იყოს მითითებული არჩევითი საგნით განსაზღვრული კომპეტეციები (მაგ.: პალეოგრაფია) ან დაკონკრეტდეს, რომ ხსენებულ კომპეტენციას სტუდენტი მიიღებს საკუთარი არჩევანის კვალობაზე;
- სასურველია, თუ პროგრამის შესაბამის ნაწილში (კომუნიკაციის უნარი) აღინიშნება, რომ კურსდამთავრებული ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ჩაბარების შემთხვევაში საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეიძენს ინგლისური ენის B 2.2 (Upper Intermediate) დონის ენობრივ კომპეტენციას;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეეძლება „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის შესრულება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად". ბაკალავრიატის საფეხური კვლევითი ხასიათის პროექტის შესრულებას არ ითვალისწინებს, თანაც რაკი საბაკალავრო ნაშრომის შესრულება პროგრამით არ არის განსაზღვრული, ხსენებული ჩანაწერი მოცემულ მომენტში ზედმეტია;
- სასწავლო პროგრამის ევროპულ სტანდარტებთან მეტად დაახლოებისათვის სასურველი იქნებოდა, თუ არჩევითობის პრინციპზე დაყრდნობით, სტუდენტებს პროგრამა 10 კრედიტის ფარგლებში შესთავაზებდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, რაც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნებოდა იმ სტუდენტთათვის, რომლებსაც მიზნად დასახული აქვთ სწავლა განაგრძონ უმაღლესი განათლების მეორე (სამაგისტრო) საფეხურზე;
- დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებში მითითებულია, რომ „საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა შესაძლებელია იმუშაოს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, არქივებსა და მუზეუმებში." ვფიქრობთ, აქ უსათუოდ უნდა მიეთითოს, რომ ზემოხსენებულ სტრუქტურებში (განსაკუთრებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში), კურსდამთავრებულს

მუშაობის დაწყება შეეძლება მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული აქტებისა და დადგენილებების შესაბამისად დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში;

- შეფასების სისტემაში დასაზუსტებელია 16.5 პუნქტის შინაარსი;
- სასურველია, დავიწროვდეს სასწავლო კურსის წერითი და ზეპირი კომუნიკაციების შინაარსი, რომელიც აკადემიური ტექსტის სახეობების გარდა, მოიცავს საქმიანი, დარგობრივი და საკანცელარიო ტექსტის სახეობებს. ამდენი ტექსტის სახეობის ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში ათვისება, და თან ხარისხიანად, წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ საბაკალავრო სწავლების ფორმატი არ მოითხოვს კონკრეტული ვიწრო მიმართულებით ამ მასშტაბით ჩაღრმავებას, ვერც საუნივერსიტეტო პროგრამის ერთი სასწავლო დისციპლინა ვერ მოახერხებს ამდენი დარგობრივი მიმართულების ტექსტის სახეობის განხილვას ერთსემესტრიანი სასწავლო კურსის ფარგლებში;
- სასურველია, ტერმინი ,,ჯგუფში მეცადინეობა" ჩანაცვლდეს სასემინარო მეცადინეობით, მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლება მეთოდურად სწორედ სასემინარო მუშაობის პრინციპებზეა აგებული;
- სასურველია, სხვა საბაკალავრო პროგრამებისათვის შეთავაზებულ ქართული ფილოლოგიის minor პროგრამაში სავალდებულის სტატუსი არ ჰქონდეს ყველა დისციპლინას. უკეთესი იქნება, თუ სავალდებულო საგნების კრედიტმოცულობა იქნება არაუმეტეს 40-ისა, ხოლო არჩევითის - 20 კრედიტისა. ასევე, ვფიქრობთ, სწორედ არჩევითის სტატუსი უნდა ჰქონდეთ minor პროგრამის ისეთ საგნებს, როგორებიცაა: ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია, ქართული ფოლკლორი, დიალექტოლოგია, ლიტერატურის თეორია;
- სასურველია დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს შეფასების ფორმების გამრავალფეროვნებას სასწავლო დისციპლინათა შინაარსსა და მიზან-შედეგზე უფრო მეტად მორგებით. ამასთან, ვფიქრობთ, შესამუშავებელია რეფერატისა და პრეზენტაციის პარამეტრები და შეფასების კრიტერიუმები, რათა თავიდან იქნეს აცილებული პლაგიატი.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციებისათვის. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული რეკომენდაციის საფუძვლიანი განხილვა მოხდა აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად. დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს და მათი ნაწილის გათვალისწინება უკვე მოხდა, ხოლო ნაწილის იგეგმება.

საბჭო წევრმა ნათელა სახოკიამ ხაზი გაუსვა ამ პროგრამის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი ერთ-ერთი უძველესია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები ძირითადად პედაგოგებად საქმდებიან სკოლებში და დასაქმების ბაზარიც არ არის მცირე, რადგანაც რეგიონში 150 სკოლა ფუნქციონირებს.

საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, თუ როგორი თანაფარდობაა ამ პროგრამაზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა 80 სტუდენტი და დასაქმებულია 13 აკადემიური პერსონალი.
საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ, გამოთქვა ინიციატივა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის დასკვნები ერთმანეთის მიყოლებით წარმოედგინათ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რის შემდეგაც მიეცემოდა სიტყვა დაწესებულების წარმომადგენლებს.

10. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	10
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა: ნანა ფრუიძემ და თინათინ კუბლაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, დაწესებულების მიმართ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია, საბაკალავრო პროგრამის დასასრულს სტუდენტს ჰქონდეს ენობრივი კომპეტენცია, რომელიც შეესაბამება უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს C[1] დონეს;
- დაემატოს სასწავლო კურსი: ,,შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში", რათა სტუდენტისათვის ნათლად წარმოსადგენი გახდეს შემდგომში მის მიერ შესასწავლი დარგის მნიშვნელოვანი მიმართულებები და სასწავლო-კვლევითი ამოცანები;

  სასწავლო პროგრამის ფარგლებში ასევე სასურველია მოსმენილ იქნას სასწავლო დისციპლინა ,,შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში", რაც ენის სტრატიფიკაციული დონის ზედა და უკანასკნელი საფეხურია. ამასთან, კომუნიკაციის ობიექტად თანამედროვე ფილოლოგიურ კვლევებში განიხილება ტექსტი. წინამდებარე დისციპლინა დისკურსის ანალიზის პარალელურად არის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში, მაგრამ ენობრივი კომპეტენციების გამყარებისათვის უმჯობესია თუ ტექსტის ლინგვისტიკის შესავალი კურსი იქნებოდა საბაკალავრო პროგრამაში, ხოლო სამაგისტროში მისი გაგრძელება იქნებოდა ,,დისკურსის ანალიზი";

- სასურველია დავიწროვდეს სასწავლო კურსის წერითი და ზეპიი კომუნიკაციების შინაარსი, რომელიც, აკადემიური ტექსტის სახეობების გარდა, მოიცავს საქმიანი, დარგობრივი და საკანცელარიო ტექსტის სახეობებს. მიგვაჩნია, რომ ამდენი ტექსტის სახეობის ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში ათვისება, და თან ხარისხიანად, წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ საბაკალავრო სწავლების ფორმატი არ მოითხოვს კონკრეტულ ვიწრო მიმართულებით ამ მასშტაბით ჩაღრმავებას, ვერც საუნივერსიტეტო პროგრამის ერთი სასწავლო დისციპლინა ვერ მოახერხებს ამდენი დარგობრივი მიმართულების ტექსტის სახეობის განხილვას ერთსემესტრიანი სასწავლო ფორმატის ფარგლებში.
  ასევე მნიშვნელოვანი იყო, თუ სასწავლო კურსი ,,ქართული ლიტერატურის ისტორია" არ განიხილავდა ქართული ლიტერატურას ქრონოლოგიას და ის შემოიფარგლებოდა თანამედროვე ქართული მწერლობის საეტაპო ნაწარმოებებითა და ავტორებით. მნიშვნელოვანი იქნებოდა არჩევანი მომავალი მთარგმნელებისათვის. ხოლო ქართული ლიტერატურის სხვა პერიოდებით დაინტერესების შემთხვევაში, პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ მათ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში დამატებითი კომპეტენციები მიიღონ ქართულ ფილოლოგიაში;
- დღეს ევროპული განათლების ერთ-ერთი ამოსავალი დებულებაა მულტილინგვალობა. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა, რომ პროგრამის მსმენელებს პროგრამის ავტორებმა შესთავაზონ 10 -კრედიტიანი კურსი რომელიმე საუნივერსიტეტო სერვისულ უცხოურ ენაში (გერმანული ან რუსული);
- დღეს უკვე აქტიურად დამკვიდრებული უცხოური ენების ინტეგრირებული სწავლების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, თუ სასწავლო კურსი ,,ინტენსიური კითხვა" მიუერთდებოდა ლიტერატურის ისტორიის შესაბამისი პერიოდის კურსებს სასემინარო ფორმატში;
- პროგრამის გათვლებით, სტუდენტი იღებს კომპეტენციებს თარგმნის ტექნიკებში, რაც მას შემდგომში საშუალებას მისცემდა განეხორციელებინა მთარგმნელობითი სამუშაო. წარმოდგენილი სილაბუსი აქცენტირებულია პრაქტიკულ სამუშაოზე, თუმცა სასურველია, თუკი სასწავლო მასალა შეივსებოდა თარგმანის თეორიის საკითხებით, რომელთა აუცილებლობა მომდინარეობს ინგლისური და ქართული ენების არაერთგვაროვანი სისტემებიდან;
- არ არის სავალდებულო, რომ სასწავლო კურს ,,დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია" მინიჭებული ჰქონდეს სავალდებულოს სტატუსი, ვინაიდან დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორიის წაკითხვა ერთ სემესტრში თავისი საეტაპო ნაწარმოებებითა და ჟანრული თავისებურებებით, არასერიოზულია და შედეგის ნაკლებად მომცემი; დაინტერესების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებითი პროგრამის ფარგლებში შეუძლია მოისმინოს სხვა ქვეყნების ლიტერატურის ისტორია;
- წინამდებარე რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამის განმახორციელებლებსა და ავტორებს საშუალება ეძლევათ გამოთავისუფლებული კრედიტების ფორმატში სრულყოფილად წარმოადგინონ ინგლისური/ამერიკული ლიტერატურის ისტორიის საეტაპო ეპიზოდები კურიკულუმში, მაგ., ინგლისური ლიტერატურის ისტორია მხოლოდ ორსემესტრიანი კურსი, ასე შემჭიდროვებულ ფორმატში არ მისცემს სტუდენტს კომპეტენციებს ლიტერატურის იტორიაში.

გარდა ამისა, როგორც ენის არა მატარებლები, არამედ ძირითადად კულტურტრეგერები, ჩვენს პროგრამებში აქცენტირებული უნდა იყოს მეტწილად თანამედროვე საკომუნიკაციო ენის სისტემური პრობლემატიკა და ასევე თანამედროვე ლიტერატურის ისტორიის ამოსავალი დებულებები;

- სასწავლო პროგრამის ვალიდურობისათვის ევროპულ სტანდარტებთან სასურველი იქნებოდა, თუ არჩევითობის პრინციპზე დაყრდნობით სტუდენტებს პროგრამა 10 კრედიტის ფარგლებში შესთავაზებდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, ალტერნატივის სახით -ორ საგანს, მათ შორის ერთს ლინგვისტიკიდან, მეორეს - ლიტერატურათმცოდნეობიდან, რაც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნებოდა იმ სტუდენტთათვის, რომელთაც მიზნად დასახული აქვთ სწავლა განაგრძონ უმაღლესი განათლების მეორე (სამაგისტრო) საფეხურზე;
- სასწავლო კურსი ,,ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია" არ არის საბაკალავრო სწავლების ფორმატის საგანი, უმჯობესია, თუ წინამდებარე დისციპლინა წარმოდგენილი იქნებოდა სამაგისტრო სასწავლო პროგრამაში;
- სასურველია, თუ კურიკულუმში სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არ იქნებოდა დისციპლინა ,,ინგლისურენოვანი პრესა", ვინაიდან საკუთრივ საგანი დალაგებული არაა პრესის ტექსტის სახეობათა პრინციპზე, არამედ ზოგადი საგაზეთო თემატიკის შესაბამისად (მაგ., სპორტი, მუსიკა, ხელოვნება, პოლიტიკა და მსგვ.), რაც ისედაც კეთდება პრაქტიკული სასწავლო კურსის შვიდი სემესტრის განმავლობაში;
- არსებითია, რომ სასწავლო მასალა შეივსოს აკადემიური სასწავლო სახელმძღვანელოებითა და მასალებით, რაც უნდა გათვალისწინებულ იქნას დისციპლინისათვის ინგლისური ენის ისტორია;
- სასურველია, თუ ტერმინი ,,ჯგუფში მეცადინეობა" ჩანაცვლდებოდა ,,სასემინარო მეცადინეობით", მითუმეტეს, რომ წინამდებარე სწავლების მეთოდი სწორედ სასემინარო მუშაობას აღწერს;
- მნიშვნელოვანია, თუ დაიხვეწებოდა სწავლის შედეგების კომპეტენციათა რუკა;
- პროგრამის შემდგომი განმარტებისათვის სასურველია, თუ პროგრამის პუნქტს ,,სწავლების ენა" ქართულთან ერთად განმარტებაში დაემატებოდა ინგლისური, ვინაიდან პროგრამაში 35 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსი და თეორიული საგნების სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობა უცხოურ ენაზე მიმდინარეობს;
- სასურველია, თუ თეორიული სასწავლო კურსებისათვის ასევე განისაზღვრება კურსზე დაშვების წინაპირობა, როგორც პრაქტიკულ სასწავლო კურსებში, თუნდაც ეს იყოს პრაქტიკული ენის ცოდნის საფეხური;
- სასურველია დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს:
  პრაქტიკული ენის შეფასებისას შემაჯამებელი შეფასება მოხდეს უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ყველა მიმართულების მიხედვით (როგორც ზეპირი, ისე წერილობით ფორმატში);
  პრაქტიკული ენის საგამოცდო შეფასება განისაზღვროს TELC-ის შესაბამისი ნიმუში ტესტის მიხედვით, რომ შეფასების შედეგი ჩაითვალოს ვალიდურად;

- სასურველია, თუ სემესტრულ აპარატს დაემატებოდა თეორიული სასწავლო კურსების რიდერის მიხედვით გაკეთებული თარგმნილი სკრიპტი;
- სასურველია პროგრამის აღწერის მე-12-ე პუნქტში, რომელიც ეხება დასაქმების სფეროების აღწერას, დაზუსტდეს შემდეგი დეტალები:
  შეუძლია დასაქმდეს ,,საგანმანათლებლო" - უნდა იკითხებოდეს: საგანმანათლებლო (დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდგომ);
- ,,თარჯიმან-რეფერენტად" - უნდა იკითხებოდეს: ,,მთარგმნელ-რეფერენტად", ვინაიდან პროგრამა ნაწილობრივ იძლევა მხოლოდ მთარგმნელის კომპეტენციებს;
- აგრეთვე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაცია, რომ უცხოური ენის პრაქტიკულ კურსზე კვირეული დატვირთვა უცხოური ფილოლოგიების სპეციალობებისათვის გაიზარდოს 6 საათამდე, რაც ფარავს 5-კრედიტიან მოცულობას.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირეებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულებისებულ რეკომენდაციებ მისი თქმით, სამივე პროგრამასთან მიმართებით მსგავსი რეკომენდაციები შემუშავდა, რომლებსაც იზიარებს დაწესებულება და გამოხატავს მზადყოფნას მათ პრაქტიკაში გათვალისწინებაზე.

11. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	გერმანული ფილოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	10
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა: ნანა ფრუიძემ და თინათინ კუბლაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, დაწესებულების მიმართ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია, დაემატოს სასწავლო კურსი: ,,შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში", რათა სტუდენტისათვის ნათლად წარმოსადგენი გახდეს შემდგომში მის მიერ შესასწავლი დარგის მნიშვნელოვანი მიმართულებები და სასწავლო-კვლევითი ამოცანები;

სასწავლო პროგრამის ფარგლებში ასევე სასურველია მოსმენილ იქნეს სასწავლო დისციპლინა ,,შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში", რაც ენის სტრატიფიკაციული დონის ზედა და უკანასკნელი საფეხურია. ამასთან, კომუნიკაციის ობიექტად თანამედროვე ფილოლოგიურ კვლევებში განიხილება ტექსტი. წინამდებარე დისციპლინა ნორმატიულია, იკითხება საქართველოს არაერთ უმაღლეს სასწავლებელში და ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია იქნება აგრეთვე ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა სტუდენტთა მობილობისათვის;

- სასურველია დავიწროვდეს სასწავლო კურსის წერითი და ზეპირი კომუნიკაციების შინაარსი, რომელიც, აკადემიური ტექსტის სახეობების გარდა, მოიცავს საქმიანი, დარგობრივი და საკანცელარიო ტექსტის სახეობებს. მიგვაჩნია, რომ ამდენი ტექსტის სახეობის ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში ათვისება, და თან ხარისხიანად, წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ საბაკალავრო სწავლების ფორმატი არ მოითხოვს კონკრეტული ვიწრო მიმართულებით ამ მასშტაბით ჩაღრმავებას, ვერც საუნივერსიტეტოს პროგრამის ერთი სასწავლო დისციპლინა ვერ მოახერხებს ამდენი დარგობრივი მიმართულების ტექსტის სახეობის განხილვას ერთსემესტრიანი სასწავლო ფორმატის ფარგლებში;
ასევე მნიშვნელოვანია, თუ სასწავლო კურსი ,,ქართული ლიტერატურის ისტორია" არ განიხილავდა ქართულ ლიტერატურას ქრონოლოგიაში და ის შემოიფარგლებოდა თანამედროვე ქართული მწერლობის საეტაპო ნაწარმოებებითა და ავტორებით. მნიშვნელოვანი იქნებოდა არჩევანი მომავალი მთარგმნელებისათვის. ხოლო ქართული ლიტერატურის სხვა პერიოდებით დაინტერესების შემთხვევაში, პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ მათ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში დამატებითი კომპეტენციები მიიღონ ქართულ ფილოლოგიაში;
- სასურველია, გერმანული ენის ფონეტიკის კურსი გახდეს ერთსემესტრიანი, რომელიც ასევე იძლევა დამატებით კომპეტენციებს აუდირებაში, გერმანული ენის ფონეტიკური სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე და აგრეთვე იმ მოსაზრებიდან, რომ გერმანული ენის პრაქტიკული კურსების ფარგლებში (ისწავლება 7 სემესტრის განმავლობაში), სტუდენტი ინტეგრალური სახელმძღვანელობის მასალების დაუფლების პირობებში ასევე იაქტიურებს აუდირებისათვის სავალდებულო კომპეტენციებს;
- გამომდინარე დღეს უკვე აქტიურად დამკვიდრებული უცხოური ენების ინტეგრირებული სწავლების პრინციპიდან, მნიშვნელოვანია, თუ სასწავლო კურსი ,,ინტენსიური კითხვა" მიუერთდებოდა ლიტერატურის ისტორიის შესაბამისი პერიოდის კურსებს სასემინარო ფორმატში;
- პროგრამის გათვლებით, სტუდენტი იღებს კომპეტენციებს თარგმნის ტექნიკებში, რაც მას შემდგომში საშუალებას მისცემდა განეხორციელებინა მთარგმნელობითი სამუშაო. წარმოდგენილი სილაბუსი აქცენტირებულია პრაქტიკულ სამუშაოზე, თუმცა სასურველია, თუკი სასწავლო მასალა შეივსებოდა თარგმანის თეორიის საკითხებით, რომელთა აუცილებლობა მომდინარეობს გერმანული და ქართული ენების არაერთგვაროვანი სისტემებიდან;
-
- არ არის სავალდებულო, რომ სასწავლო კურს ,,დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია" მინიჭებული ჰქონდეს სავალდებულოს სტატუსი,

ვინაიდან დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორიის წაკითხვა ერთ სემესტრში თავისი საეტაპო ნაწარმოებებითა და ჟანრული თავისებურებებით, არასერიოზულია და შედეგის ნაკლებად მომცემი; დაინტერესების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებითი პროგრამის ფარგლებში შეუძლია მოისმინოს სხვა ქვეყნების ლიტერატურის ისტორია;

- წინამდებარე რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამის განმახორციელებლებსა და ავტორებს საშუალება ეძლევათ გამოთავისუფლებული კრედიტების ფორმატში სრულყოფილად წარმოადგინონ გერმანული ლიტერატურის ისტორიის საეტაპო ეპიზოდები კურიკულუმში, მაგ., მიგვაჩნია, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში ასევე რთულად მისაღწევია შედეგი, როცა კურსი განიხილავს გერმანული კლასიკის, რომანტიზმისა და რეალიზმის ურთულეს ეპოქებს. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოური ფილოლოგიების სწავლება საქართველოში გულისხმობს თანამედროვე ენის, ლიტერატურის ამოსავალი დებულებებისა და ფილოლოგიური ნორმატიული დისციპლინების შესწავლას, სავალდებულოდ მივიჩნევთ თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას, რის გამოც სასურველია სტატუსი შეეცვალოს ახალი და უახლესი გერმანული ლიტერატურის ისტორიას და გახდეს სავალდებულო დისციპლინა;
- სასწავლო პროგრამის ვალიდურობისათვის ევროპულ სტანდარტებთან, სასურველი იქნებოდა, თუ არჩევითობის პრინციპზე დაყრდნობით სტუდენტებს პროგრამა 10 კრედიტის ფარგლებში შესთავაზებდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, ალტერნატიულ შემთხვევაში ერთ საგანს ლიტერატურის ისტორიიდან, ხოლო მეორეს - ლინგვისტიკიდან, რაც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნებოდა იმ სტუდენტთათვის, რომლებსაც მიზნად დასახული აქვთ სწავლა განაგრძონ უმაღლესი განათლების მეორე (სამაგისტრო) საფეხურზე;
- სასურველია, თუ ტერმინი ,,ჯგუფში მეცადინეობა" ჩანაცვლდებოდა ,,სასემინარო მეცადინეობით", მითუმეტეს, რომ წინამდებარე სწავლების მეთოდი სწორედ სასემინარო მუშაობის პრინციპებზეა აგებული;
- მნიშვნელოვანია, თუ დაიხვეწება სწავლის შედეგების კომპეტენციათა რუკა;
- პროგრამის შემდგომი განმარტებისათვის სასურველია, თუ პროგრამის პუნქტს ,,სწავლების ენა" ქართულთან ერთად განმარტებაში დაემატებოდა ,,გერმანული", ვინაიდან პროგრამაში 35 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსი და თეორიული საგნების სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობა უცხოურ ენაზე მიმდინარეობს;
- სასურველია, თუ თეორიული სასწავლო კურსებისათვის ასევე განისაზღვრება კურსზე დაშვების წინაპირობა როგორც პრაქტიკულ სასწავლო კურსებში, თუნდაც ეს იყოს პრაქტიკული ენის ცოდნის საფეხური;
- სასურველია დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს:
  პრაქტიკული ენის შეფასებისას შემაჯამებელი შეფასება მოხდეს უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ყველა მიმართულების მიხედვით (როგორც ზეპირი, ისე წერილობით ფორმატში);
- პრაქტიკული ენის საგამოცდო შეფასება განისაზღვროს TELC-ის შესაბამისი ნიმუში ტესტის მიხედვით, რომ შეფასების შედეგი ჩაითვალოს ვალიდურად;

- სასურველია, თუ პროგრამის წიგნადი ფონდი გამრავალფეროვნდება უახლესი მასალით, რაშიც შესაძლებელია ჩაერთოს თბილისის გოეთეს ინსტიტუტის სასწავლო განყოფილება, აგრეთვე გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური და ჰუმბოლდტის ბიბლიოთეკა. ასევე შესაძლოა დამზადდეს წიგნადი ფონდის ელექტრო ვერსია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის ბიბლიოთეკის ბაზაზე, მით უმეტეს, რომ არსებობს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობის არა ერთი პრეცენდენტი ამ კუთხით. ასევე სასურველია, თუ სემესტრულ აპარატს დაემატებოდა თეორიული სასწავლო კურსების რიდერის მიხედვით გაკეთებული თარგმნილი სკრიპტი;
- სასურველია პროგრამის აღწერის მე-12-ე პუნქტში, რომელიც ეხება დასაქმების სფეროების აღწერას, დაზუსტდეს შემდეგი დეტალები:
- შეუძლია დასაქმდეს ,,საგანმანათლებლო" - უნდა იკითხებოდეს: ,,საგანმანათლებლო (დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდგომ)";
- ,,თარჯიმან-რეფერენტად" - უნდა იკითხებოდეს: ,,მთარგმნელ-რეფერენტად", ვინაიდან პროგრამა ნაწილობრივ იძლევა მხოლოდ მთარგმნელის კომპეტენციებს.
- აგრეთვე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაცია, რომ უცხოური ენის პრაქტიკულ კურსზე კვირეული დატვირთვა უცხოური ფილოლოგიების სპეციალობისათვის გაიზარდოს 6 საათამდე, რაც ფარავს 5-კრედიტიან მოცულობას.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირეებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულებისრ შემუშავებულ რეკო მისი თქმით, სამივე პროგრამასთან მიმართებით მსგავსი რეკომენდაციები შემუშავდა, რომლებსაც იზიარებს დაწესებულება და გამოხატავს მზადყოფნას მათ პრაქტიკაში გათვალისწინებაზე.

12.სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	რუსული ფილოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	10
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა: ნანა ფრუიძემ და თინათინ კუბლაშვილმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, დაწესებულების მიმართ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- გამომდინარე იქიდან, რომ დღეს თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ენად მიჩნეულია ინგლისური ენა, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წინამდებარე უცხოური ენა სახელდება პირველად უცხოურ ენად და, ამავე დროს, სტუდენტთა მობილობისა და ინტერნაციონალიზაციისათვის ინგლისური ენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, პროგრამის განმახორციელებლებს რეკომენდაციას ვუწევთ პროგრამის მონაწილეთ 10 კრედიტის ფარგლებში შესთავაზონ მეორე უცხოური ენა-ინგლისური ენა;
- სასურველია დავიწროვდეს სასწავლო კურსის ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაციების" შინაარსი, რომელიც, აკადემიური ტექსტის სახეობების გარდა, მოიცავს საქმიანი, დარგობრივი და საკანცელარიო ტექსტის სახეობებს. მიგვაჩნია, რომ ამდენი ტექსტის სახეობის ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში ათვისება და, თან ხარისხიანად, წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ საბაკალავრო სწავლების ფორმატი არ მოითხოვს კონკრეტული ვიწრო მიმართულებით ამ მასშტაბით ჩაღრმავებას, ვერც საუნივერსიტეტოს პროგრამის ერთი სასწავლო დისციპლინა ვერ მოახერხებს ამდენი დარგობრივი მიმართულების ტექსტის სახეობის განხილვას ერთსემესტრიანი სასწავლო ფორმატის ფარგლებში;
- ასევე მნიშვნელოვანია, თუ სასწავლო კურსი ,,ქართული ლიტერატურის ისტორია" არ განიხილავდა ქართულ ლიტერატურას ქრონოლოგიაში და ის შემოიფარგლებოდა თანამედროვე ქართული მწერლობის საეტაპო ნაწარმოებებითა და ავტორებით. მნიშვნელოვანი იქნებოდა მომავალი მთარგმნელებისათვის. ხოლო ქართული ლიტერატურის სხვა პერიოდებით დაინტერესების შემთხვევაში, პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ მათ დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში დამატებითი კომპეტენციები მიიღონ ქართულ ფილოლოგიაში;
- სასწავლო პროგრამის ფორმატიდან გამომდინარე, ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორსემესტრიანი სასწავლო კურსის რუსული ენის გრამატიკის თეორიის შემცირება ერთსემესტრიან კურსად, რის საშუალებასაც იძლევა რუსული ენის გრამატიკის თეორიაში არსებული მორფო-სინტაქსის ამოსავალი დებულებები;
- ლინგვოქვეყანათმცოდნეობა არის თეორიული კურსი, რომელიც გულისხმობს ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას, ხანგრძლივი და მოკლევადიანი მეხსიერების, ინდენტობისა და კოლექტიურის საკითხებს, რომელთა ასახვა ენის სისტემაში ფიქსირდება. წინამდებარე დისციპლინა თავისი შინაარსით არის ქვეყანათმცოდნეობაა, რომლის სწავლება ხორციელდება კონკრეტული თემატური ტექსტების საფუძველზე. მსჯელობიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, რომ საგანს ეწოდოს ,,ქვეყანათმცოდნეობა";
- სასწავლო პროგრამის ვალიდურობისათვის ევროპულ სტანდარტებთან, სასურველი იქნებოდა, თუ არჩევითობის პრინციპზე დაყრდნობით სტუდენტებს პროგრამა 10 კრედიტის ფარგლებში შესთავაზებდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, ალტერნატივის შემთხვევაში ორ საგანს, ერთს ლინგვისტიკიდან, მეორეს - ლიტერატურათმცოდნეობიდან, რაც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი

იქნებოდა იმ სტუდენტთათვის, რომლებსაც მიზნად დასახული აქვთ სწავლა განაგრძონ უმაღლესი განათლების მეორე (სამაგისტრო) საფეხურზე;

- სასურველია, თუ ტერმინი ,,ჯგუფში მეცადინეობა" ჩანაცვლდებოდა ,,სასემინარო მეცადინეობით", მითუმეტეს, რომ წინამდებარე სწავლების მეთოდი სწორედ სასემინარო მუშაობის პრინციპებზეა აგებული;
- მნიშვნელოვანია, თუ დაიხვეწებოდა სწავლის შედეგების კომპეტენციათა რუკა;
- პროგრამის შემდგომი განმარტებისათვის სასურველია, თუ პროგრამის პუნქტს ,,სწავლების ენა" ქართულთან ერთად განმარტებაში დაემატებოდა ,,რუსული", ვინაიდან პროგრამაში 30 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსი და თეორიული საგნების სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობა უცხოურ ენაზე მიმდინარეობს;
- სასურველია, თუ თეორიული სასწავლო კურსებისათვის ასევე განისაზღვრება კურსზე დაშვების წინაპირობა, როგორც პრაქტიკულ სასწავლო კურსებში, თუნდაც ეს იყოს პრაქტიკული ენის ცოდნის საფეხური (მაგ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა);
- სასურველია დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს:
  პრაქტიკული ენის შეფასებისას შემაჯამებელი შეფასება მოხდეს უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ყველა მიმართულების მიხედვით (როგორც ზეპირი, ისე წერილობით ფორმატში);
- პრაქტიკული ენის საგამოცდო შეფასება განისაზღვროს TELC-ის შესაბამისი ნიმუში ტესტის მიხედვით, რომ შეფასების შედეგი ჩაითვალოს ვალიდურად;
- სასურველია, თუ პროგრამის წიგნადი ფონდი გამრავალფეროვნდება უახლესი მასალით, რაშიც შესაძლებელია ჩაერთონ დონორი ორგანიზაციები და ფონდები, ასევე შესაძლოა დამზადდეს წიგნადი ფონდის ელექტროვერსია პარტნიორი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკის ბაზაზე, მითუმეტეს, რომ არსებობს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ასევე სასურველია, თუ სემესტრულ აპარატს დაემატებოდა თეორიული სასწავლო კურსების რიდერის მიხედვით გაკეთებული თარგმნილი სკრიპტი;
- სასურველია პროგრამის აღწერის მე-12-ე პუნქტში, რომელიც ეხება დასაქმების სფეროების აღწერას, შეძლებისდაგვარად კონკრეტული სახე მიეცეს;
- აგრეთვე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაცია, რომ უცხოური ენის პრაქტიკულ კურსზე კვირეული დატვირთვა უცხოური ფილოლოგიების სპეციალობისათვის გაიზარდოს 6 საათამდე, რაც ფარავს 5-კრედიტიან მოცულობას.

გიორგი კამკამიძემ, დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირეებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მისი თქმით, სამივე პროგრამასთან მიმართებით მსგავსი რეკომენდაციები შემუშავდა, რომლებსაც იზიარებს დაწესებულება და გამოხატავს მზადყოფნას მათ პრაქტიკაში გათვალისწინებაზე.

13. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ისტორია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცი:ა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1004
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა: ნანა ფრუიძემ და თინათინ კუბლაშვილმა. თინათინ კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო გამოცდილი აკადემიური პერსონალი, ტრადიციული ისტორიის სკოლის მიმდევრები. ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ დაწესებულების რექტორიც ისტორიკოსი იყო.

თინათინ კუბლაშვილის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა დადებითად შეფასდა, თუმცა დაწესებულების მიმართ პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსში (მაგ. „არქეოლოგია I“, ,,არქეოლოგია II“, ,,ახალი ისტორია I“ და სხვ.) საკუთრივ შუალედური და დასკვნითი გამოცდების გარდა, არსებობდეს ასევე შეფასების სხვა კომპონენტები, როგორებიცაა: პრეზენტაცია, აქტივობა/ჩართულობა, ქვიზები და ა.შ., ხოლო იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ამგვარი შეფასების კომპონენტები არსებობს (მაგ. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ და სხვა), სასურველია ისინი გაიწეროს უფრო მკაფიოდ, კერძოდ, მეორე შუალედური შეფასების გრაფაში ცალ-ცალკე აქტივობად იქნეს გამოტანილი პრეზენტაცია, ზეპირი გამოცდა, რეფერატი, საშინაო დავალება და სხვ. შესაბამისი შეფასებებით;
- სასურველია სასწავლო კურსების, სილაბუსების, გამდიდრება უცხოენოვანი ლიტერატურით, ვებგვერდებით.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ორივე რეკომენდაციას და მზაობას გამოხატავს მათ გათვალისწინებაზე.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ თითქმის ყველა სილაბუსში სტუდენტთა შეფასების მწირი ინსტრუმენტებია გაწერილი, ის დაინტერესდა, ჰქონდა თუ

არა დაწესებულებას შემუშავებული მექანიზმი შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნების, რადგანაც მსგავსი რეკომენდაცია ექსპერტთა მიერ სხვა პროგრამებთან მიმართებითაც გამოითქვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ მოხდა ამ საკითხების განხილვა პროგრამების განმახორციელებელი პირების მიერ და იგეგმებოდა შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება და მათ ასახვა შესაბამის სილაბუსებში. მან აქვე დასძინა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად აფასებს პროგრამებს, ხდება თვალყურის დევნება სასწავლო კურსებში მიმდინარე პროცესების, თუმცაღა გარედან დანახული უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას, რათა გააძლიეროს მუშაობა შედარებით სუსტ მხარეებზე. წარმომადგენლის თქმით, შეფასების კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია ყველა პროგრამას არ ეხებოდა.

თამარ ბრეგვაძის თქმით, ყველა ექსპერტი აღნიშნავდა, რომ პროგრამებში სხვადასხვა ფორმით წარმოჩინდება პრობლემა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ის დაინტერესდა, დაწესებულებაში ფუნქციონირებს თუ არა საგამოცდო ცენტრი და როგორ აპირებს დაწესებულება დააბალანსოს შეფასების მუდმივმოქმედი ფორმა, რომ მხოლოდ ტესტურ, წერილობით კომპონენტზე არ მოხდეს აქცენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი საგამოცდო ცენტრი, რომელიც უტარებს სტუდენტებს წერით გამოცდებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს დეკლარირებული სქემა, რომელიც განუსაზღვარავს ლექტორს ამა თუ იმ შეფასების კომპონენტის სავალდებულოდ გამოყენებას, აღნიშნული შეზღუდავდა მათ აკადემიურ თავისუფლებას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გადასაწყვეტია, ამა თუ იმ საგანში რა ფორმით მიაჩნია მართებულად სტუდენტის შეფასება. წარმომადგენლის თქმით, ყველა სასწავლო კურსში წერითთან ერთად ზეპირი კომპონენტიც იყო ჩართული, თუცმა შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე იგეგმება შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება და მათი მორგება სასწავლო კურსზე, მის შედეგებსა და მიზნებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა ის ფაქტი, რომ მხოლოდ წერითი კომპონენტზე არ არის ორიენტირებული შეფასების სიტემა და მათ აქვთ არჩევანი, წერით კომპინენტთან ერთად ზეპირი გამოცდითაც მოხდეს სტუდენტთა შეფასება.

14. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0703
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ჯაფიაშვილმა. ექსპერტის თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, რომ საბაკალავრო პროგრამის არსებული კურსები მეტად გამდიდრდეს უშუალოდ მედიაპროდუქტების (მაგ. ტელე-რადიო რეპორტაჟი, სატელევიზიო გადაცემა, სლაიდშოუ, სატელევიზიო ჩანახატი, სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი და ა.შ.) შექმნის შესწავლაზე ორიენტირებული პრაქტიკული კომპონენტებით;
- სასურველია, რომ პროგრამაში არსებული პრაქტიკული კურსები: ,,ფოტოჟურნალისტიკა" და ,,ინტერნეტჟურნალისტიკა" არჩევითი საგნებიდან ძირითადი საგნების ჩამონათვალში გადავიდეს, ისევე როგორც კურსი - ,,მედია და კონფლიქტები", რეგიონისა (კონფლიქტური ზონა) და დასაქმების ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სასურველია, დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს (დავიწროვდეს) რიგი სასწავლო კურსების (ტელეჟურნალისტიკა, რედიოჟურნალისტიკა, ინტერნეტჟურნალისტიკა, პრაქტიკა) მიერ განვითარებული კომპეტენციების ჩამონათვალი;
- სასურველია, რომ პროგრამა გამდიდრდეს იმ კომპონენტებით, რომლებიც სტუდენტებს თანამედროვე მედია-პროდუქტების (მუტიმედიური, ინტერნეტ-მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტები) შექმნის ცოდნასა და საჭირო უნარ-ჩვევებს შესძენს;
- სასურველია შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების ხელახალი გააზრება და მათი შესაბამისობაში მოყვანა ცალკეული პრაქტიკული კურსების საჭიროებებთან. მაგალითად, რადიოჟურნალისტიკის, ტელეჟურნალისტიკის, ინტერნეტჟურნალისტიკის, პრაქტიკის კურსების შემთხვევაში, მიღწეული შედეგების, განვითარებული კომპეტენციების შეფასება ვერ მოხერხდება მხოლოდ წერილობითი (ძირითადად ტესტები) და ზეპირი გამოკითხვის გზით. ეს პრაქტიკული კურსები, სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, უნდა ამოწმებდეს კურსის განმავლობაში უშუალოდ სტუდენტების მიერ შექმნილი ჟურნალისტური პროდუქტების (სტატია, რეპორტაჟი, მულტიმედიაისტორია და ა.შ.) ხარისხს და არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ კეთდება ეს მასალები;
- სასურველი იქნებოდა სასწავლო ტელე-რადიო სტუდიის მოწყობისას (უნივერსიტეტს მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა) და პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების გამდიდრების შემთხვევაში, ისეთი სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც სტუდენტებს შეასწავლიან მედია-პროდუქტების შექმნის თანამედროვე ტექნიკებს და საშუალებებს (აუდიო და ვიდეო მონტაჟის პრინციპები, სამონტაჟო პროგრამების გამოყენება, მულტიმედიური პროდუქტების შესაქმნელად საჭირო პროგრამებში მუშაობა და ა.შ).

ნინო ჯაფიაშვილის თქმით, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში ჟურნალისტიკის საბაკალავრო

პროგრამა განვითარების გზაზეა და გამომდინარე რეგიონის, როგორც კონფლიქტური ზონის მნიშვნელობიდან, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების მეტი შანსი აქვთ, თუ ისინი მეტ ყურადღებას დაუთმობენ კონფლიქტების შესწავლას.

საბჭოს წევრებმაც ხაზი გაუსვეს პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ კონფლიქტოლოგიის ნიშის დაკავების მნიშვნელობას.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, არიან თუ არა რეგიონში კვალიფიციური კადრები, რომლებიც პროგრამის პრაქტიკული კურსებს გაუძღვებიან.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში კვალიფიციური აკადემიური პერსონალი ახორციელებს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას, თუმცა აუცილებელი იქნება, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების გამდიდრების შემთხვევაში, ისეთი სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც სტუდენტებს შეასწავლიან მედია-პროდუქტების შექმნის თანამედროვე ტექნიკებსა და საშუალებებს.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და გამოხატა მზაობა მათ გათვალისწინებაზე.

15. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ქართულ ენაში მომზადება
კრედიტების რაოდენობა:	60

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ნანა ფრუიძემ და თინათინ კუბლაშვილმა. ნანა ფრუიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, დაწესებულების მიმართ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად უნდა ისახავდეს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებას საბაკალავრო პროგრამაზე დასაშვებად საჭირო B1+ დონეზე. სასურველია, ეს გარემოება გარკვევით იყოს პროგრამაში აღნიშნული.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კომპონენტებით განსაზღვრული შედეგები, კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ჩაშლილი იყოს პუნქტებად: „მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა".
- სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, დაზუსტდეს პროგრამის შედეგების ზოგიერთი ასპექტის ტექსტი (მაგ.: ცოდნა-გაცნობიერებაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს ექნება „ზოგადი ცოდნა ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედევრების შესახებ; ზოგადი ცოდნა ენათა ინტერფერენციის პრობლემებისა და ლექსიკური სესხების პროცესების შესახებ; ენობრივი კონტაქტების ძირითადი ასპექტების (პოლიტიკური ფონი,

კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი) ზოგადი ცოდნა; დასკვნის უნარში აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულს „შეუძლია კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადება და ისტორიულ კონტექსტში განხილვა)";

- ასევე, სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, დაზუსტდეს არა მარტო პროგრამის, არამედ ზოგიერთი საგნის მიზნები (მაგ.: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა), ორთოგრაფია და ორთოეპია) და შედეგებიც (მაგ.: ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები, ორთოგრაფია და ორთოეპია, ფუნქციური წერა).
- ვფიქრობთ, დასახვეწია ზოგიერი საგნის შინაარსობრივი მხარე (მაგ.: საგნის ორთოგრაფია-ორთოეპია- სილაბუსის პირველი 5 თემა შინაარსობრივად ნაკლებად შეესაბამება საგნის სპეციფიკას: ქართული, როგორც ქართველთა საერთო ენა; ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა; ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი; უძველესი წერილობითი ძეგლები; ქართული ენა და დიალექტები).
- სასწავლო გეგმით ყველა საგანში გათვალისწინებულია სალექციო მუშაობა, არადა, რაკი რეალურად მსმენელთან ძირითადად სწორედ პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება, ვფიქრობთ, ეს გარემოება სასწავლო გეგმაში ადეკვატურად უნდა აისახოს.
- შეფასებისთვის ძირითადად გამოყენებულია ღია და დახურული კითხვების ფორმატი, რაც, ჩვენი აზრით, ნაკლებად შეესაბამება პროგრამით შეთავაზებულ საგანთა უმრავლესობის სპეციფიკას; ასევე, ვფიქრობთ, მეთოდურად უფრო გამართლებული იქნება, თუ პრეზენტაციის მომზადებას მსმენელს არ მოვთხოვთ პირველი სემესტრის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში (მაგ.: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი, წერა), კომუნიკაციური ასპექტები 1), რათა სტუდენტისათვის მეტისმეტად რთული არ აღმოჩნდეს დავალების შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, თუ რა ხანგრძლივობის იყო ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. ექსპერტის თქმით, პროგრამა ერთწლიანია.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ რომელენოვან სეგმენტზეა გათვლილი პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელების ვალდებულება აქვთ საჯარო სამართლის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებს. პროგრამაში ჩართულნი არიან აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტები და მომავალში იგეგმება აფხაზეთიდან და ოსეთიდან სტუდენტებისათვის პროგრამის შეთავაზება. პროგრამით გათვალისწინებულია თითოეული ენის წარმომადგენლებისათვის ცალ-ცალკე სწავლება, გამომდინარე მათი მოთხოვნებიდან.

16. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	დაწყებითი განათლება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	განათლების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	030202
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა. ექსპერტის თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია, პოტენციურმა დამსაქმებლებმა და დაწესებულებამ უფრო მეტად ითანამშრომლონ და აღმოფხვრილ იქნას ინფორმაციული დეფიციტი პროგრამის სპეციფიკის შესახებ;
- სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა გახდეს მეტად მრავალფეროვანი და გამდიდრდეს უახლესი პუბლიკაციებით, განსაკუთრებით კი ბოლოდროინდელი სტატიებითა და კვლევებით.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, ჩართულნი არიან თუ არა აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში სკოლები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეგიონში 150 სკოლა ფუნქციონირებს და აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების ძირითად დამსაქმებლებს სწორედ ისინი წარმოადგენენ. ამასთან, პროცენტულად ყველაზე მეტი პედაგოგი ამ სკოლებში გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, ითვალისწინებს თუ არა აღნიშნული პროგრამა კვლევით კომპონენტს. მისი განმარტებით, მასწავლებლის მომზადების პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა, ახალი სტანდარტი ავალდებულებს, რომ მასწავლებელს ჰქონდეს კვლევითი უნარები გამომუშავებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კვლევითი უნარები მაგისტრატურის ეტაპზე უმუშავდებათ, ხოლო ბაკალავრიატის ეტაპზე ნაკლები მოცულობით, თუმცაღა კვლევის მეთოდები ისწავლება პირველ საფეხურზეც. წარმომადგენლის თქმით, ცვლილებების ფეხდაფეხ პროგრამაშიც მოხდება კორექტირება მათ შესაბამისად.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენ სტუდენტზე აქვს დაწესებულებას მიღება გამოცხადებული დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა 20 წელია ხორციელდება დაწესებულებაში და ყოველწლიურად 50 ადგილზე აცხადებენ სტუდენტთა მიღებას.

17. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/BA in International Relations
სწავლების ენა:	ქართულ-ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0705
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მაია გონაშვილმა საბჭოს წარუდგინა შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია სტატისტიკის კურსი, რომელიც ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების ფარგლებშია მომზადებული. სასურველია, რომ აღნიშნული კურსი მოდიფიცირდეს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე. ბუნებრივია, სტატისტიკის ძირითადი ცნებები და მიდგომები საერთოა, თუმცა სასურველია, რომ მეტი სიცხადისთვის მაგალითები იყოს აღებული არა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროდან, არამედ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერებისთვის აქტუალური საკითხების კონტექსტში. კურსის ამგვარი მოდიფიცირება შესაძლებელია შესაბამისი დამატებითი ლიტერატურის გამოყენების შემთხვევაში, სადაც სტატისტიკა სწორედ რომ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების ჭრილშია განხილული (ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია წიგნი პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების შესახებ, სადაც თვისებრივ მიდგომებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას,), ამიტომ, საგანი თავისი შინაარსითა და სახელწოდებით სასურველია იყოს საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკა;
- სასურველია, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი სტატუსის მქონე კურსი „შედარებითი სახელმწიფო მართვა" პროგრამაში სავალდებულო სტატუსით იქნეს გათვალისწინებული. აღნიშნული კურსის ფარგლებში განხილული თემატიკა ძალიან ახლოს დგას შედარებითი პოლიტიკის კურსის თემატიკასთან. იმდენად რამდენადაც შედარებითი პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიმართულებაა, სასურველია, პროგრამა აღნიშნულ კურსს სავალდებულო კომპონენტის სახით ითვალისწინებდეს;
- სასურველია პროგრამას სავალდებულო კურსის სტატუსით დაემატოს კურსი „საქართველოს პოლიტიკური სისტემა". აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის, ხელისუფლების შტოების ფუნქციების, მოქმედების საშუალებების შესახებ; ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილებისა და სხვა აქტუალური საკითხების

შესახებ. პროგრამაში მსგავსი კურსის არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის შედეგების მიღწევას;

- სასურველია, პროგრამა ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსით კურსის ინტეგრირებას, რომლის ძირითადი თემატიკა იქნება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მოდელების, თეორიების და პროცესების შესწავლა;
- სასურველია გააახლდეს კურს „მსოფლიო პოლიტიკის საფუძვლების" - ფარგლებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. აღნიშნული საკითხი ეცნობა პროგრამის ხელმძღვანელს და დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული წიგნის ბოლო გამოცემის შეძენის შესახებ. ხოლო ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსის კი ძირითადი ან/და დამხმარე ლიტარატურის ჩამონათვალი შეივსოს მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურით; (მაგ. კურს ,,საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში"- სტიგლიცის „გლობალიზაცია და მისი თანამედროვე უკმაყოფილება" და ა.შ.);
- რეკომენდირებულია პროგრამის აღწერა შეიცავდეს ინფორმაციას საგნების წინაპირობებისა და სემესტრების მიხედვით განაწილების შესახებ, რაც პროგრამას გახდის გამჭირვალეს და სტუდენტს დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში;
- პროგრამას არ ახლავს ყველა კურსის სილაბუსი (მაგ.: ინგლისური ენის, მეორე უცხო ენის სილაბუსები, საბაკალავრო ნაშრომი, სულ წარმოდგენილია 30, ნაცვლად პროგრამაში მითითებული 57-ისა). და ამასთან სასურველია სილაბუსები უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით იყოს შევსებული და მიეთითოს და გაიწეროს ერთნაირი კვირების რაოდენობაზე, (მაგ. ზოგან 15, ზოგან 16 კვირაა, მაშინ, როცა სასწავლო პროცესი 19-კვირიანია);
- ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ, საგანში „ახალი და უახლესი ისტორია" მითითებულია სასემინარო მუშაობა 15 ქულა და შემდეგ ეს 15 ქულაა ჩაშლილი, რაც გაუგებარია. ერთხელ ვაფასებთ სტუდენტს მარტო 15 ქულით, თუ ყოველ სემინარზე და რამდენი ქულით, ასევე არ არის მოცემული დასკვნითი გამოცდის 40-ქულიანი შეფასების სისტემა. ასევე ზოგიერთ საგანში დასწრება და აქტიურობა შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან და ნაცვლად თითოეული კომპონენტისა, შეფასებულია საბოლოო 10 ქულა, რომელიც კომპონენტების ჯამით უნდა გამოვიდეს, ხოლო ზოგან საერთოდ არ არის მითითებული, თუ რას ითვალისწინებს აქტივობა და როგორ ფასდება (მაგ. კლასიკური პოლიტიკური თეორიები და სხვა). ზოგიერთ საგანში მითითებულია ქვიზების ქულა და თითოეულის მაქსიმალური შეფასების 4 ქულა, მაგრამ არსად განაწილებაში არ ჩანს, კონკრეტულად რომელ კვირას ექნება და ცოტა გაუგებარია სტუდენტისთვის (მაგ. საგანში „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა"მითითებულია, რომ 12 ქულა ქვიზებში, საგნებში „ერები და ნაციონალიზმი" და „თანამედროვე პოლიტიკური თეორიები" აღნიშნულია28 ქულა ქვიზებში);
- წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით დამოუკიდებელი მუშაობის საათებშია ჩათვლილი შუალედური და გამოცდის საათები და არა საკონტაქტოში;
- სასურველია, დაწესებულებამ მეტი რესურსი ჩადოს საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების მიმართულებით. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი/სავალდებულო ლიტერატურისა და ელექტრონული რესურსების არსებობა. ამავდროულად, სასურველია დაწესებულებამ სამომავლოდ მეტი ყურადღება დაუთმოს

საბიბლიოთეკო რესურსების შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკა უფრო დიდ სივრცეში განთავსდეს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მეტი რესურსი იქნეს მიმართული წიგნადი ფონდის გაძლიერებისა და სასწავლო პროცესის ხელშემწყობი სხვა ელექტრონული რესურსების (სამეცნიერო ჟურნალების ბაზები და ა.შ) შეძენის მიმართულებით;

- ხაზგასასმელია გარემოება, რომ ბევრი კურსის შემთხვევაში, დაშვების წინაპირობად მითითებულია ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა. რეკომენდირებულია, იმ საგნებს, რომლებიც ისწავლება მხოლოდ ინგლისურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, წინაპირობაში დაემატოს ან ინგლისურის ცოდნა B1 დონეზე (სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში) ან ინგლისური 3 ან 4 (საგანში კრედიტის მიღების შემთხვევაში);
- სასურველია, დაწესებულებამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიზო ჭელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ღირებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ დარგი ზოგადად მრავალფეროვანი იყო, არ არსებობდა სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოსაზრებები პროგრამის შემდგომი დახვეწისათვის მნიშვნელოვანი იყო.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისათვის სასურველი იყო სტატისტიკის ცოდნა, თუმცა მათ ჩათვალეს მიზანშეწონილად ბაკალავრიატში სტატისტიკის ნაცვლად ესწავლებინათ სოციალური კვლევების მეთოდები. ასევე, აღნიშნა ცალკე საგარეო პოლიტიკის კურსის გამოყოფაზეც და დასაშვებად მიიჩნია ერთ კურსში მომხდარიყო თემატიკის ფოკუსირება.

წიგნებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე პროგრამის ხელმძღვანელმა მაგალითად მოიყვანა საკუთარი სილაბუსი, რომელიც წელიწადში ორჯერ ახლდებოდა, იქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკა მუდმივად ცვალებადი სფეროა და სილაბუსიც მის მიხედვით უნდა დგებოდეს. მისი მოსაზრებით, არსებული ლიტერატურითაც პროგრამა შედეგზე გადიოდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ აღნიშნული სილაბუსები იყო სავალდებულო საუნივერსიტეტო და აკრედიტებული პროგრამების ნაწილი.

მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, სილაბუსებში არ იყო ლიტერატურის სიმწირე, იმდენად უხვიც კი იყო ლიტერატურის ჩამონათვალი, რომ ეჭვს იწვევდა სტუდენტი თავს გაართმევდა თუ არა ამხელა მასალას, მით უმეტეს, რომ დაზუსტებული არ იყო ლიტერატურის თავები რიგ სილაბუსებში. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას ჯერ სტუდენტი არ ჰყავდა, ამბიციურად ეჩვენებოდა. მაღრაძემ ექსპერტს ჰკითხა, რამდენად მიღწევადი და დაძლევადი იყო პროგრამა სტუდენტისთის.

მაია გონაშვილმა მიუგო, რომ პროგრამა ნამდვილად განხორციელებადია, რეკომენდაციები არის სასურველობის ხასიათის მხოლოდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტი იყო ბიბლიოთეკის გამდიდრება როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად. მოცემული დროისათვის წიგნების უმრავლესობა ელექტრონული სახით იყო წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში. JSTOR და EBSCO საბიბლიოტეკო ბაზების რესურსებთან წვდომა ჯერ-ჯერობით არ ჰქონდათ. მან ასევე აღნიშნა ტურიბას უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ორი სტუდენტი გაცვლითი პროგრამით იყო წასული სასწავლებლად. მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ბალტიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. მისი თქმით, უშუალოდ პროგრამასთან მიმართებით არც ისე ბევრი, თუმცა უნივერსიტეტს საკმაოდ ბევრი მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა სწავლის ღირებულებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სწავლის საფასური 2250 ლარი იყო, სამართალზე შედარებით მეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინეს, თუმცა რიგ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტებისაგან განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ.

18. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი)
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მაია გონაშვილმა წარუდგინა საბჭოს შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამა ითვალისწინებს მოდულის (ფინანსების მოდული, მენეჯმენტის მოდული, მარკეტინგის მოდული 36-36 კრედიტის სახით) გაღრმავებული დაუფლებისათვის აუცილებელ სასწავლო კურსებს, ამიტომ სასურველია პროგრამის აღწერაში აისახოს ამ მოდულების შესაბამისი შედეგები;
- პროგრამას არ ახლავს ყველა კურსის სილაბუსი (მაგ.: ინგლისური ენის, მეორე უცხო ენის სილაბუსები, სულ წარმოდგენილია 50 სილაბუსი, ნაცვლად პროგრამაში მითითებული 58-ისა). სასურველია სილაბუსები უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით იყოს შევსებული და ასევე გაწერილი იყოს არა 16 კვირაზე, არამედ 19 კვირაზე, რომ ჩანდეს სრული სემესტრი, როგორც ეს პროგრამაშია აღწერილი;

- რეკომენდირებულია თემების მიხედვით მიეთითოს ლიტერატურა (სილაბუსებში მხოლოდ ზოგადაა მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა), რაც სტუდენტს გაუადვილებს სწავლის პროცესს და, თავის მხრივ, გამორიცხავს სხვადასხვა თემასა და საგანში ერთი და იმავე ლიტერატურის მითითებას ან ასეთ შემთხვევაში დაზუსტდება ცალკეული თავები. (მაგ. ფინანსურ ბაზრებში, კორპორატიულ მენეჯმენტში - ჰორნის ,,ფინანსური მენეჯმენტი", სტატისტიკის შესავალი და ბიზნეს სტატისტიკა- კეისის ,,სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში", ან საგანში ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები", რომლის ერთ-ერთი სალექციო თემაა -„საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურა, დამოუკიდებლობა, საქმიანობა", არ შეისწავლება არც ერთი მითითებული ლიტერატურით და ა.შ.);
- რეკომენდირებულია წინაპირობების დალაგება, რაც უფრო მოქნილს გახდის პროგრამას. კერძოდ, ზოგიერთ საგანს, სადაც არ არის მითითებული წინაპირობები, მიეთითოს ის საგანი, რომელიც უშუალოდ მის წინაპირობას წარმოადგენს (მაგ.: ,,ეკონომიკის პრინციპები 2-ს" მიეთითოს ,,ეკონომიკის პრინციპები 1", ხოლო ,,ფირმის ეკონომიკის" წინაპირობაა ,,მენეჯერული ეკონომიკა", რომელიც საერთოდ არ ისწავლება), ზოგიერთ საგანზე დაზუსტდეს წინაპირობები (მაგ. ,,ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბაზრებს" ნაცვლად ,,ეკონომიკის პრინციპების 1-ისა" მიეთითოს ,,ეკონომიკის პრინციპები 2", ხოლო ,,მიკროეკონომიკის წინაპირობა ეკონომიკის პრინციპები 2-ის" ნაცვლად ,,ეკონომიკის პრინციპები-1", და სხვა), ხოლო ზოგიერთ საგანს არ ჰქონდეს წინაპირობა, რომელიც არ წარმოადგენს მისთვის აუცილებელს (მაგ. ,,მენეჯმენტი-ბიზნესის საფუძვლები", ,,პროფესიული პრაქტიკა -კორპორაციათა ფინანსები", რომელიც სავალდებულოა მხოლოდ ფინანსების მოდულისთვის და სხვა მოდულის არჩევის შემთვევაში სტუდენტი საერთოდ ვერ გაივლის პრაქტიკას);
- რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმდეს თემებისა და მასალების თანმიმდევრობა, სასურველია ზოგიერთი საგნის თემატიკის დახვეწა და უფრო დეტალური აღწერა, რომ არ მოხდეს თემების მიხედვით საკითხების გამეორება;
- ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ, სამუშაო ჯგუფში მუშაობა შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან, რატომღაც შეფასებულია არა თითოეული კომპონენტი, არამედ საბოლოო 10 ქულა, რომელიც კომპონენტების ჯამით უნდა გამოვიდეს. ზოგიერთ სილაბუსში არ არის ჩაშლილი შეფასების სისტემები (მაგ. პრეზენტაციის 30 ქულა);
- ასევე პრეზენტაციის ან პროექტის კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისას სასურველია მიეთითოს ზღვარი 0-1 და არა უბრალოდ 1 ქულა, ან დაემატოს შეფასება 0, რაც პრეზენტაციის არწარმოდგენის ან კრიტერიუმის არშესრულების შემთხვევაში ლექტორს ნულოვანი შეფასების დაწერის საშუალებას მისცემს. ასევე სასურველია გამოცდის შეფასების ერთიან სისტემაში მოყვანა, როცა 4 ან 8 საკითხია (ერთ შემთხვევაში ძალიან ნათლად არის მითითებული შეფასების ზღვრები, ხოლო მეორე შემთხვევაში, მხოლოდ ერთი რიცხვია მითითებული, მაგ. 3,75);
- წარმოდგენილი პროგრამის ცხრილის მიხედვით დამოუკიდებელი მუშაობის საათებში არ ჩანს შუალედური გამოცდის ჩაბარებაზე დახარჯული საათები, ასევე საჭიროებს დაზუსტებას საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რადგან პროგამაში ცალკეა გამოყოფილი მხოლოდ დასკვნითი გამოცდის ჩაბარების საათები,

ხოლო სილაბუსებში გამოცდისა და შუალედური გამოცდის ჩაბარების საათები ჩათვლილია გამოცდებისთვის დამოუკიდებელი მომზადების 20 საათში;

- რეკომენდირებულია, იმ საგნებს (მაგ. ,,ეკონომიკურ დინამიკაში", ,,მარკეტინგ მენეჯმენტში" და სხვა), რომლებიც ისწავლება მხოლოდ ინგლისურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, წინაპირობაში მიეთითოს ან ინგლისურის ცოდნა B1 დონეზე (სერთიფიკატის არსებობის შემთხვევაში) ან ინგლისური 4 (საგანში კრედიტის მიღების შემთხვევაში);
- რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსი ძირითადი ან/და დამხმარე ლიტარატურის ჩამონათვალი შეივსოს მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოებით; (მაგ. ,,ორგანიზაციულ ქცევაში" უმჯობესია მიეთითოს სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა.ჯაჯის ,,ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები", ,,მენეჯმენტის საფუძვლებში" -გარეთი, ,,თანამედროვე მენეჯმენტი" და ა.შ.);
- სასურველია დაემატოს ,,მენეჯერული ეკონომიკა და სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები";
- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობანი: სილაბუსში სწორად იყოს მითითებული პროგრამის დასახელება (მაგ. პროგრამა: ,,ფინანსები ბიზნესის ადმინისტრირება"-საგანში ,,საფინანსო აღრიცხვა", ,,პროფესიული პრაქტიკა"), პროგრამაში საგნების დასახელება და სილაბუსებში საგნების დასახელება (მაგ. ,,ფინანსური ანალიზის საფუძვლები"-პროგრამასა და სილაბუსში ჰქვია ,,ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი საფუძვლები"), შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამაში ჩამოთვლილი კურსებისა და სილაბუსებში მითითებული საგნების სტატუსი, (მაგ. ,,პროექტის მენეჯმენტი", რომელიც სავალდებულოა თუ მენეჯმენტის მოდულს აირჩევს), შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამასა და სილაბუსებში მითითებული წინაპირობები.

თამარ ზარანდია დაინტერესდა, წინაპირობები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული თუ მხოლოდ სილაბუსებში, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ ზოგ სილაბუსში იყო მითითებული, თუმცა იყო საგნები, რომელთა წინაპირობები დაბრკოლებას უქმნიდა სტუდენტს, ასევე, რამდენიმე კურსს სასურველი იყო დამატებოდა წინაპირობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავთანდილ გაგნიძემ განმარტა, რომ რეკომენდაციების უმრავლესი ნაწილი ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობის დროსვე იქნა გათვალისწინებული. წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში მართლაც იყო დაზუსტებელი და რეკომენდაციას იზიარებდა დაწესებულება. პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო.

დაწესებულების წარმომადგენლები რეკომენდაციებს დაეთანხმნენ.

19:20 საათზე საბჭოზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 19:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია, ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა მონიტორინგის პროცედურის განხორციელებით, მოეხდინა აღნიშნული პროგრამის პირობების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება (მომხრე - 5; წინააღმდეგი -1);
- შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0).

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შემდეგ სხდომაზე, ექსპერტის გამოუცხადებლობის მიზეზით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 19:28 საათზე.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე